

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში N1 - საკომისიოები შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:**

1. დაემატოს Solo X ანგარიშთა პაკეტის საკომისიო და განისაზღვროს შემდეგი სახით:

Solo X საქართველოს მოქალაქე კლიენტებისთვის	18 GEL ყოველთვიურად	180 GEL ყოველწლიურად
Solo X უცხო ქვეყნის მოქალაქე კლიენტებისთვის	23 GEL ყოველთვიურად	230 GEL ყოველთვიურად

2. შეიცვალოს Solo ანგარიშთა პაკეტის საკომისიო და განისაზღვროს შემდეგი სახით:

Solo საქართველოს მოქალაქე კლიენტებისთვის	30 / 25 <sup>4</sup> GEL ყოველთვიურად	300 / 250 <sup>4</sup> GEL ყოველწლიურად
Solo უცხო ქვეყნის მოქალაქე კლიენტებისთვის	35 / 30 <sup>4</sup> GEL ყოველთვიურად	350 / 300 <sup>4</sup> GEL ყოველწლიურად

<sup>4</sup>კლიენტებისთვის, რომლებსაც პერსონალური ბანკირი მიმაგრებული ჰყავთ ქ. ქუთაისის ტერიტორიაზე განთავსებულ SOLO ლაუნჯებში და SOLO ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა დაიწყეს 2023 წლის 31 იანვრამდე

*შენიშვნა:* კლიენტებისთვის, რომლებმაც SOLO ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა დაიწყეს 2023 წლის 31 იანვრამდე პირობა ძალაში შედის 2023 წლის 30 მარტიდან

3. შეიცვალოს Solo Club ანგარიშთა პაკეტის საკომისიო და განისაზღვროს შემდეგი სახით:

Solo Club საქართველოს მოქალაქე კლიენტებისთვის	75 GEL ყოველთვიურად	750 GEL ყოველწლიურად
Solo Club უცხო ქვეყნის მოქალაქე კლიენტებისთვის	80 GEL ყოველთვიურად	800 GEL ყოველთვიურად

*შენიშვნა:* კლიენტებისთვის, რომლებმაც SOLO ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა დაიწყეს 2023 წლის 31 იანვრამდე პირობა ძალაში შედის 2023 წლის 30 მარტიდან

4. შეიცვალოს Solo International ანგარიშთა პაკეტის საკომისიო და განისაზღვროს შემდეგი სახით:

Solo International	80 GEL	800 GEL
--------------------	--------	---------

*შენიშვნა:* კლიენტებისთვის, რომლებმაც SOLO ანგარიშთა პაკეტით სარგებლობა დაიწყეს 2023 წლის 31 იანვრამდე პირობა ძალაში შედის 2023 წლის 30 მარტიდან

5. დაემატოს Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) ბარათის საკომისიო და განისაზღვროს შემდეგი სახით:

Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) პირველი ბარათი ან ვადაგასულის განახლება	უფასო
Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) დაზიანებულის ან დაკარგულის განახლება	30 GEL
Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) დამატებითი	60 GEL წლიურად

6. შეიცვალოს N15 შენიშვნა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„<sup>15</sup>ციფრული ბარათის (მათ შორის, SOLO ანგარიშთა პაკეტებში შემავალი Solo Premium (Visa Platinum / Mastercard World Elite), SOLO PLUS Card, Solo Club (Visa Platinum / Mastercard World Elite / Visa Signature), Solo Family, Solo Gold Card (Mastercard) / Solo Gold Card (Visa), SOLO PLUS Card და Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite)) ღირებულება არის უფასო. გამონაკლისია SOLO ანგარიშთა პაკეტებში შემავალ ბარათებთან ერთად დამატებით ბარათად იგივე ტიპის Solo Premium (Visa Platinum / Mastercard World

Elite ), Solo Club (Visa Platinum / Mastercard World Elite / Visa Signature), Solo Family, SOLO International და Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) ციფრული ბარათების ღირებულება, რომლის დროსაც Solo Premium (Visa Platinum / Mastercard World Elite ) ბარათის ღირებულება 60 GEL წლიურად, Solo Family ბარათის ღირებულება 60 GEL წლიურად, Solo Club (Visa Platinum / Mastercard World Elite / Visa Signature) ბარათის ღირებულება 120 GEL წლიურად, SOLO International ბარათის ღირებულება 120 GEL წლიურად და Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) ბარათის ღირებულება 60 GEL წლიურად.“

7. შეიცვალოს N18 შენიშვნა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
 „<sup>18</sup>ციფრული ბარათის გააქტიურებისას კლიენტს გაუქტიურდება ნაკრები S ანგარიშთა პაკეტი. ამასთან, ნაკრები S ანგარიშთა პაკეტი არ გაუქტიურდებათ SOLO კლიენტებს, რომლებიც მოითხოვენ Solo Gold Card (Mastercard) / Solo Gold Card (Visa), Solo Premium, SOLO PLUS Card, Solo Club, Solo Family, SOLO International ან Solo X ციფრული ბარათის გააქტიურებას; კლიენტებს, რომლებიც მოითხოვენ ციფრული სტუდენტური ბარათის გააქტიურებას და კლიენტებს, რომლებსაც უკვე აქტიური აქვთ ნაკრები S ანგარიშთა პაკეტი.“

8. დაემატოს Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) ბარათის განაღდების საკომისიო და განისაზღვროს შემდეგი სახით:

განაღდების საკომისიო	
საქართველოს ბანკის სერვის ცენტრი	თანხა ≤ 1500 - 1 % მინ. 1 GEL თანხა > 1500 - 0.6 % მინ. 0.5 GEL
GC სისტემაში ჩართული ბანკების სერვის ცენტრი	0.6 % მინ. 0.5 GEL (ეკ. ვალუტაში)
სხვა ბანკის სერვის ცენტრი	2 % მინ. 3 USD
საქართველოს ბანკის ბანკომატი	უფასო
GC სისტემაში ჩართული ბანკების ბანკომატი	0.5 % მინ. 0.2 GEL (ეკ. ვალუტაში)
სხვა ბანკის ბანკომატი	2 % მინ. 3 USD
საქართველოს ბანკის პოს-ტერმინალით თანხის განაღდება ეროვნულ ვალუტაში	უფასო

9. დაემატოს Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) ბარათით თანხის განაღდების დღიური ლიმიტი და განისაზღვროს შემდეგი სახით:

თანხის განაღდების დღიური ლიმიტი	
საქართველოს ბანკის სერვის ცენტრი	შეუზღუდავად
ნებისმიერი ბანკის ბანკომატი	SOLO X ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტის სადებეტო ბარათებით თანხის განაღდების დღიური ჯამური ლიმიტი 50000 GEL;
სხვა ბანკის სერვის ცენტრი	50000 GEL
საქართველოს ბანკის პოს-ტერმინალი	1500 GEL

10. შეიცვალოს N5 შენიშვნა და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
 „<sup>5</sup> ნებისმიერი სადებეტო ბარათის შემთხვევაში, თუ სადებეტო ბარათის მფლობელს წარმოადგენს SOLO ანგარიშთა პაკეტით (გარდა SOLO Family ანგარიშთა პაკეტით) მოსარგებლე კლიენტი, მაშინ ყველა ასეთ სადებეტო ბარათზე გავრცელდება, ბანკომატის მეშვეობით, SOLO ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტის სადებეტო ბარათებით თანხის განაღდების დღიური ჯამური ლიმიტი, კერძოდ: ა) SOLO ანგარიშთა პაკეტისთვის - 50000 GEL; ბ) SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტისთვის - 100000 GEL; გ) SOLO International ანგარიშთა პაკეტისთვის - 100000 GEL; SOLO X ანგარიშთა პაკეტისთვის - 50000 GEL.“

11. დაემატოს ბანკომატის მეშვეობით SOLO X ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტის სადებეტო ბარათებით თანხის განაღდებას თვიური (30 კალენდარული დღის) ჯამური ლიმიტი:

SOLO X ანგარიშთა პაკეტისთვის	150000 GEL
------------------------------	------------

12. დაემატოს Solo X (Visa Platinum / Mastercard World Elite) ბარათით თანხის განაღდებას დღიური ლიმიტი და განისაზღვროს შემდეგი სახით:

სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ანგარიშსწორების დღიური ლიმიტი	
პოს-ტერმინალი	100 000 GEL
ინტერნეტგადახდები	50 000 GEL

13. წაიშალოს ანგარიშის მართვის ყოველთვიური მომსახურება არარეზიდენტი კლიენტებისთვის საკომისიო და შესაბამისი ჩანაწერის შენიშვნები:

ანგარიშის მართვის ყოველთვიური მომსახურება არარეზიდენტი კლიენტებისთვის, მათ შორის დაგროვილი ქონების მართვის არარეზიდენტი კლიენტებისთვის (WM) <sup>5</sup>	ყოველთვიური ნაშთის <sup>6</sup> წლიური 0.5 %
--	--

14. დაემატოს ანგარიშთა პაკეტებს ჩანაწერი და საკომისიოს განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ტიპი	ყოველთვიურად	ყოველწლიურად
Golden Lion Advanced <sup>3 5</sup>	300 GEL	3000 GEL

15. წაიშალოს ანგარიშთა პაკეტებს ჩანაწერი

Golden Lion Trial <sup>8</sup>	100 GEL
--------------------------------	---------

16. დაემატოს ბარათის ღირებულებებს და განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

American Express Blue დაზიანებული/დაკარგული ბარათის განახლება დაგროვილი ქონების მართვის (WM) კლიენტებისთვის	უფასო
---	-------

17. დაემატოს ბარათის ღირებულებებს და განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

American Express Green დაზიანებული/დაკარგული ბარათის განახლება დაგროვილი ქონების მართვის (WM) კლიენტებისთვის	უფასო
--	-------

18. შეიცვალოს ბარათის ღირებულება და მისი შენიშვნა და განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

American Express Platinum დაგროვილი ქონების მართვის (WM) კლიენტებისთვის (პირველი ბარათი ან ვადაგასულის განახლება)	უფასო <sup>20</sup>
---	---------------------

<sup>20</sup> დამატებითი ბარათის ღირებულება განისაზღვრება კლიენტის სეგმენტისა და ანგარიშთა პაკეტის შესაბამისად:

- SOLO CLUB ანგარიშთა პაკეტის მფლობელი კლიენტისთვის - 550 GEL წლიურად.
- SOLO INTERNATIONAL ანგარიშთა პაკეტის მფლობელი კლიენტისთვის - 550 GEL წლიურად.
- დაგროვილი ქონების მართვის (WM) კლიენტებისთვის - 550 GEL წლიურად.

19. შეიცვალოს ბარათის ღირებულება და განისაზღვროს შემდეგი ოდენობით.



American Express Platinum დაგროვილი ქონების მართვის (WM) კლიენტებისთვის დაზიანებული/დაკარგული ბარათის განახლება	უფასო
---	-------

20. შეიცვალს მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა საქართველოს ბანკის სისტემის გარეთ 10000 GEL-მდე ინდივიდუალური/დაჩქარებული რეჟიმი Solo ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტებისთვის (გარდა SOLO Family ანგარიშთა პაკეტისა) და განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

საქართველოს ბანკის სისტემის გარეთ 10000 GEL-მდე ინდივიდუალური/დაჩქარებული რეჟიმი Solo ანგარიშთა პაკეტით მოსარგებლე კლიენტებისთვის (გარდა SOLO Family ანგარიშთა პაკეტისა)	1 GEL
--	-------

21. შეიცვალს მიმდინარე ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა საქართველოს ბანკის სისტემის გარეთ 10000 GEL-მდე ინდივიდუალური/დაჩქარებული რეჟიმი დაგროვილი ქონების მართვის (WM) კლიენტებისთვის და განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

საქართველოს ბანკის სისტემის გარეთ 10000 GEL-მდე ინდივიდუალური/დაჩქარებული რეჟიმი დაგროვილი ქონების მართვის (WM) კლიენტებისთვის	1 GEL
--	-------